# საინვესტიციო ხელშეკრულებები:

# სარგებლის გაზრდისა და რისკების შემცირების შესაძლებლობები

ქეთი გუჯარაიძე
მწვანე ალტერნატივა

12 ივლისი, 2015

## უცხოური სასოფლო-სამეურნეო ინვესტიციები სამნაირად შეიძლება მოექცეს სამართლებრივი რეგულირების ქვეშ

1. ადგილობრივი (ეროვნული) კანონმდებლობა

2. საინვესტიციო ხელშეკრულება მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან

3. საინვესტიციო შეთანხმებები

**იდეალურ სიტუაციაში** - ქვეყნის კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ყველა საკითხის სრულფასოვან რეგულირებას (მაგ., გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის მექანიზმების არსებობას, სრულფასოვან კონტროლს)

## საინვესტიციო ხელშეკრულება მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან

- **შეიძლება „შეავსოს“** ეროვნული კანონმდებლობის ნაკლოვანებები (საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე მითითებით)
- უნდა შედგეს დიდი სიფრთხილით - **გაიზარდოს ყველა მხარის სარგებელი და შემცირდეს რისკები**
- მთავარი გამოწვევა - საინვესტიციო ხელშეკრულება **არ უნდა გახდეს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებისთვის გვერდის ავლის საშუალება**; ხელშეკრულებამ არ უნდა შეუშალოს ხელი ახალი კანონმდებლობის მიღებას

## საინვესტიციო ხელშეკრულება მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან

- ხშირად მოიცავენ ძალზე სადავო დებულებებს - ე.წ. **„სტაბილიზაციის“ დებულებებს**
- **„ყინავს“ კანონებს** ხელშეკრულების ხელმოწერის დროს არსებულ მდგომარეობაში
- ინვესტორზე **არ ვრცელდება** „ახალი“ ნორმები, ან ინვესტორს შეუძლია მოითხოვოს „ახალი“ ნორმების შემოღებით გამოწვეული **ზიანზე კომპენსაცია** (გაზრდილ დანახარჯებზე ან შემცირებულ მოგებაზე)
- ფართო, ყოვლისმომცველი „სტაბილიზაციის“ დებულებების ჩართვა ხელშეკრულებებში, **დღეს უკვე მიუღებლად განიხილება**; თუმცა, მიღებულია ზოგიერთ ფისკალურ საკითხზე ასეთი დებულებების არსებობა

## საინვესტიციო შეთანხმებები

- სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმებები, რომლებიც **ერთი სახელმწიფოდან ინვესტორებს, მეორე სახელმწიფოში ინვესტირებისას**, საერთაშორისო აქტებით განსაზღვრული **სპეციალური დაცვითი მექანიზმის ქვეშ აქცევს**.
- დღეისათვის მსოფლიოში არსებობს **3000-ზე მეტი ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები**, რომლებიც სტატუსით, ეროვნულ კანონმდებლობებზე მაღლა დგანან.
- აღსრულების მექანიზმი - **საერთაშორისო არბიტრაჟი** (დღემდე გამოყენებული იყო დაახ. 600-ჯერ ინვესტორების მიერ სახელმწიფოების წინააღმდეგ)

- **როგორ მივიღოთ მეტი სარგებელი სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო ხელშეკრულებებიდან?**
- **როგორ შევამციროთ სასოფლო-სამეურნეო საინვესტიციო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რისკები?**

**(იხილეთ ცხრილები)**